საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

11/07/2025

MES 4 25 0000856913

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. „აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1" ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად

შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის “მეტწილად შესაბამისობა” განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

1.6. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 10 მარტის № 261805 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 1.2 კომპონენტში შეცვალა შემდეგი რეკომენდაციის ფორმულირება: "რეკომენდებულია, პროგრამაში შეიცვალოს დარგის კლასიფიკაცია ISCED-F-2013- ის საფუძველზე და 0521 - ის (გარემოსმცოდნეობა) ნაცვლად განისაზღვროს 0529 (გარემო, არაკლასიფიცირებული)." და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: „რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამა გარემოსმცოდნეობის შესაბამისი სასწავლო კურსებით“.

აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 1.2 კომპონენტის ცვლილება.

ბ) აკრედიტაციის საბჭომ 1.5 კომპონენტში დაამატა შემდეგი რჩევა:

„სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსები - "სამთო-სატყეო სამეურნეო საქმიანობა" და "ტყე და მერქნის დამუშავების მართვა" გასწორდეს დარგში მოქედ, როგორც საკანონმდებლო, ისე მეთოდოლოგიურად მიღებული ტერმინოლოგიის შესაბამისად.“

აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 1.5 კომპონენტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 27 ივნისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 27 ივნისის სხდომის №856841 ოქმის №05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საბაკალავრო პროგრამის მიზნებში მდგრადი განვითარება განიმარტოს "გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად;
- რეკომენდებულია, პერიოდულად გადაიხედოს პროგრამის მიზნები;
- რეკომენდებულია, შეიცვალოს ბუნდოვანი მიზნები, იმისათვის, რომ გახდეს რეალისტური და პრაქტიკულად მიღწევადი. მაგალითად, მე-3 მიზანი არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული: "საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მთის სოფლის გარემოში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების გამოვლენა, პროგნოზირება, პრევენციის გააზრება და შესაბამისი პრიორიტეტის მინიჭება";
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სწავლის შედეგი, რომელშიც მკაფიოდ იქნება აღნიშნული კვლევითი ან პრაქტიკული სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება კონკრეტული მეთოდოლოგიური მითითებების შესაბამისად: "განახორციელოს კვლევითი და / ან პრაქტიკული პროექტი გარემოს მდგრადობის საკითხებზე, წინასწარ განსაზღვრული მითითებებით, შესაბამისი მონაცემების და მეთოდების გამოყენებით და უზრუნველყოს შედეგების წარდგენა".
- რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამა გარემოსმცოდნეობის შესაბამისი სასწავლო კურსებით.
- რეკომენდებულია, დაიხვეწოს მე - 9 სწავლის შედეგი: "გეგმავს დამოუკიდებელი სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში". რეკომენდებულია, შეიცვალოს პროგრამის მე - 9 სწავლის შედეგი და ჩამოყალიბდეს მე - 6 დონის აღმწერის შემდეგი კომპეტენციის შესაბამისად: "საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და მისი განხორციელების მხარდაჭერა. შემდგომი სწავლის საჭიროებების გამოვლენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით მათი განხორციელება".
- რეკომენდებულია, დადგინდეს კურსის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობა და ჩამოყალიბდეს შედეგები პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ლოგიკური კავშირი სწავლის შედეგებს და სასწავლო კურსებს შორის.

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, იმისათვის, რომ იყოს უფრო ლაკონური და პროგრამისთვის დამახასიათებელი. რეკომენდებულია, მიეთითოს შეფასების ვადები და მეთოდები (პირდაპირი და არაპირდაპირი).
- რეკომენდებულია, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების საფუძველზე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უზრუნველყოფდეს მონაცემების და შეფასების შედეგების სინთეზს.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში და ანალიზში, ასევე შეფასების მეთოდების და პროცესის შესახებ მათთვის ინფორმაციის მიწოდება.
- პროგრამის ეფექტური დაგეგმვის და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, დაწესებულებამ აღადგინოს ფაკულტეტის მმართველი სტრუქტურების მიერ როგორიცაა ფაკულტეტის საბჭო, საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის და დამტკიცების პროცესი, ასევე დანიშნოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
- რეკომენდებულია, გარემოსმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა მოიცავდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საბაზისო კურსებს, როგორიცაა ზოგადი ბიოლოგია/ეკოლოგია და ზოგადი ქიმია.
- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს ცხოველთა ეკოლოგიის სპეციალური კურსი (რომელიც სტუდენტებს აცნობს ფაუნის ეკოლოგიურ საკითხებს, ბიომრავალფეროვნებას და კონსერვაციის მიდგომებს) და მიკრობიოლოგიის ან გარემოს მიკრობიოლოგიის საფუძვლების კურსი (რომელიც მოიცავს ბიოქიმიურ ციკლებს, დაბინძურების ანალიზს და ეკოლოგიურ ბიოინდიკატორებს).
- რეკომენდებულია, "მთაში საინჟინრო სისტემების მართვის" და "მთიანი რეგიონების ლანდშაფტური დაგეგმარების" კურსების ლოგიკურობის და თანმიმდევრულობის თვალსაზრისით, წინაპირობად მიეთითოს საინჟინრო გრაფიკის ან ტექნიკური ხაზვის კურსი, რომელიც პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული კურსების შესწავლის წინაპირობების სახით.
- რეკომენდებულია, გარემოსმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხის შესაბამისი პრაქტიკული უნარების უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამა მოიცავდეს ისეთი კურსებს, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მუშაობა.
- რეკომენდებულია, შეიცვალოს სასწავლო კურსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგი (კურსები: 8, 15, 24, 26, 27, 41, 43 და სხვ.) - "გეგმავს დამოუკიდებელი სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში" - ისე, რომ შესაბამის კურსში სწავლის შედეგი იყოს მიღწევადი, რელევანტური და ექვემდებარებოდეს შეფასებას;

- რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამის ძირითადი დარგობრივი კურსებისთვის დადგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას გარემოსმცოდნეობის სფეროს კომპეტენციებთან;
- რეკომენდებულია, სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ეფუძნებოდეს მთის სოფლის გარემოს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული სფეროების თანამედროვე გამოწვევებსა და მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი, ჩამოყალიბდეს კონკრეტული და რეალისტური ფორმით და სილაბუსში მკაფიოდ აისახოს, თუ როგორ იზომება/ფასდება პრაქტიკის შედეგების მიღწევა;
- რეკომენდებულია, შეფასება რეალისტურად ზომავდეს პრაქტიკის კომპონენტის შედეგების მიღწევას;

- რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს თანმიმდევრულ და ლოგიკურ სასწავლო გეგმას, რომელიც ორიენტირებული იქნება სტუდენტების ზოგადი / ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და აღნიშნულ სფეროში სპეციალისტების მომზადებაზე;
- რეკომენდებულია სტუდენტმა პრაქტიკის ანგარიში წარუდგინოს კომისიას; შესაბამისი კომისია შეაფასებს ანგარიშს დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. შესაბამისად, ასევე რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისა და შეფასების წესებში ცვლილებების შეტანა;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაცია პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ;
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და პროგრამის განხორციელებაში ჩაერთონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფართო სფეროში, გარემოს ვიწრო სფეროში და გარემოსმცოდნეობის კონკრეტულ სფეროში მომუშავე აკადემიური პირები;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების და განვითარების მექანიზმების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მთის განვითარების ფაკულტეტმა (როგორც ძირითადმა საგანმანათლებლო ერთეულმა) პროცესებში ჩართოს როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე ფაკულტეტის საბჭო;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ აკრედიტაციის მიზნით შეაფასოს პერსონალის მონაცემები აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, რაც გულისხმობს ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების საფუძველზე პერსონალის კვალიფიკაციის დადასტურებას.
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს შემდეგი კურსების ძირითადი სავალდებულო ლიტერატურის შინაარსი და ხარისხი: "ბუნებრივი კატასტროფები და რისკები", "მთიან რეგიონებში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება" და "მთიან რეგიონებში მდგრადი სოფლის განვითარების საფუძვლები".
- რეკომენდებულია, კურსის ლიტერატურის შეფასება და გაუმჯობესება განხორციელდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიუჯეტების მხარდაჭერა ფაკულტეტის სტრუქტურული და ადმინისტრაციული კომპონენტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის პერსონალის როლი და ჩართულობა პროგრამის ხარისხის განვითარებაში, ასევე უზრუნველყოფილი იყოს მათთვის პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- რეკომენდებულია, გაიზარდოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის როლი პროგრამის ხარისხის განვითარებაში;
- რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამის სიღრმისეული და ყოვლისმომცველი ანალიზი, ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით შეგროვებული ინფორმაციის გაერთიანება და შესწავლა;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ თითოეულ კურსში ინდივიდუალურად გააანალიზოს სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები და პერსონალს მიაწოდოს უკუკავშირი მიღებული შედეგების შესახებ;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შედარება სხვა უნივერსიტეტებში მოქმედ ანალოგიურ პროგრამებთან;
- რეკომენდებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის უწყვეტი განვითარება და გამოავლინოს პროგრამის ხარვეზები და გასაუმჯობესებელი სფეროები.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 27 ივნისს.

6. საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების შესახებ 2 წლის ვადაში, 2027 წლის 27 ივნისამდე.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
მფარველობა
ელექტრონულად